ხელშეკრულება № 18
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

შესყიდვის განხორციელების მიზნით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნტის შესაბამისად (CPV 44411000;)
წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია "..26.." ..02..... 2015 წ. თბილისი.

ერთი მხრივ, **სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა,** წარმოდგენილი საფინანსო და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსის დავით კაპანაძის სახით (შემდგომში შემსყიდველი)
მისამართი: ქ. თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის (ყოფილი წამებულის) გამზირი №96
საიდენტიფიკაციო კოდი: 202051956
სახელმწიფო სახაზინო კოდი: 220101222 ა/ა 200122900

და მეორეს მხრივ, **შპს „თ და ს 2008"** წარმოდგენილი მისი დირექტორის ტარიელ გინდიას სახით (შემდგომში მიმწოდებელი),
მისამართი: თბილისი, აგლაძის ქ №14;
საიდენტიფიკაციო კოდი: 202431421
საბანკო რეკვიზიტები: სს „პროკრედიტ ბანკი"; ბანკის კოდი: MIBGGE22; ა/ნომერი: GE80PC0223600100007772 შორის

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში„ხელშეკრულება")შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

მუხლი 2 ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს დანართი N1-ით გათვალისწინებული სანტექნიკური მოწყობილობების მოწოდება (შემდგომში საქონელი).

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **3228.90 (სამიათასორასოცდარვა ლარი და 90 თეთრი) ლარს, დღგს ჩათვლით.**

3.2. შესყიდვის ობიექტის ერთეულის ღირებულება განსაზღვრულია დანართი N1-ით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადები და ადგილი

მიმწოდებელმა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის სრულად

მიწოდება უნდა განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან **5 სამუშაო დღის ვადაში,** შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის (ყოფილი ქეთევან წამებულის) გამზირი №96;

მუხლი 5. საქონლის ხარისხი და გარანტია

5.2.. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ საქონელი იქნება ხარისხიანი.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე დროულად განახორციელოს წუნდებული საქონლის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

5.4. მიმწოდებლის მიერ 5.3 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება (თუ საქონლის საფასური უკვე გადახდილია) ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან (თუ საქონლის საფასური გადახდილი არ არის).

მუხლი 6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი (ინსპექტირება) მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათ შორის მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

6.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

მუხლი 7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

7.2. საქონელი, ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეთა მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7.3. საქონლის (მისი ნაწილის) მიღების შემდეგ ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

7.4. შემსყიდველი ვალდებულია დროულად აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის წუნდების მიზეზის მითითებით.

მუხლი 8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება საქონლის, ან მისი ნაწილის მიწოდების შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების, მიმწოდებლის მიერ სასაქონლო ზედნადების და ანგარიშფაქტურის წარდგენის საფუძველზე.

8.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

8.3. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

8.4. სახელმწიფო შესყიდვის დაფინანსების წყაროა: სახელმწიფო ბიუჯეტი;

8.5. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

მუხლი 9. ფასები

9.1. ხელშეკრულებაში განსაზღვრული ფასის ცვლილება დასაშვებია მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში (დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 %-ზე მეტი ოდენობით გაზრდა).

9.2. ფასების ცვლილების შესახებ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებას.

მუხლი 10. ფორსმაჟორი

10.1. ხელშეკრულების, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად თუ შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორსმაჟორული გარემოებების შედეგი;

10.2. ამ ხელშრეკრულების მიზნებისათვის ფორსმაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან მხარეების შეცდომებთან და დაუდევრობებთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.ასეთი გარემოება ასევე შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, ეპიდემიით ან სხვა სტიქიური უბედურებით;

10.3. ფორსმაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისათვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს დოკუმენტურად დასაბუთებული წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ,.

10.4. წინამდებარე ხელშეკრულების 10.3. პუნქტით გათვალისწინებული გარემოების დადგომისას მხარეები უფლებამოსილნი არიან ხელშეკრულების შესაბამისად, შეცვალონ ან შეწყვიტონ ხელშეკრულების პირობები, სრულად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება,

მუხლი 11. მხარეთა ურთიერთობა

11.1. ნებისმიერი ოფიციალური შეტყობინება მხარეთა შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას (მათ შორის ელექრონული ფორმით);

11.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, ამ თარიღიდან რომელიც უფრო გვიან დგება.

მუხლი 12. მხარეთა უფლება–მოვალეობები.

12.1. შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს მიმწოდებლის მიერ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი;

12.2. შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

12.3. მიმწოდებელი ვალდებულია ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას მიაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი;

12.4. მიმწოდებელს უფლება აქვს მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მიიღოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასი.

მუხლი 13. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

13.1 . მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი მთლიანი ან ნაწილობრივი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის ან არაჯეროვნად შესრულებისთვის;

13.2 თუ ერთ–ერთი მხარე არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, მეორე მხარე წერილობითი, ან სხვა ფორმით აფრთხილებს, რათა შეასრულოს ხელშეკრულების პირობები;

13.3 ხელშეკრულების ერთი მხარის მიერ ვალდებულებების კვლავ შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს, შესაბამისი გაფრთხილების გაგზავნისა და დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, უფლება აქვს ცალმხრივად ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

13.4 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში (სამუშაოს არასრულად, დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან სხვა), მიმწოდებელს ეკისრება პასუხისმგებლობა - პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მთლიანი სახელშეკრულებო თანხის 0.5% პროცენტის ოდენობით.

13.5 იმ შემთხვევაში თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვის მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

13.6 .შემსყიდველი პასუხისმგებლობას კისრულობს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის, პირგასამტეხლოს სახით მიმწოდებელს გადაუხადოს ვადაგადაცილებული თანხის 0.1 პროცენტი.

13.7 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 14. გადასახადები და ბაჟები

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა იმ გადასახადის, დაბეგვრის თანხის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 15. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 16. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

16.1. არანაირი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

16.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 17. ხელშეკრულების შეწყვეტა

17.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

ბ) ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო;

გ) მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევის ვადების 10 დღით დარღვევის შემთხვევაში (ცალმხრივად შეწყვეტის საფუძველი),

დ) შემსყიდველის მიერ, ხელშეკრულების შეწყვეტამდე 10 დღით ადრე, წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

17.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 18. დავათა განხილვის წესი

18.1. მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავები. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა განიხილება სასამართლოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 19. დამატებითი პირობები

19.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

19.2 შემსყიდველი უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად დადგენილი პირობებით, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

19.3 მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
19.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს, ერთი ეგზემპლარი შემსყიდველს).

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

მხარეთა ხელმოწერები:

შემსყიდველის მხრიდან:
დავით კაპანაძე _____
საფინანსო და ლოჯისტიკის
დეპარტამენტის უფროსი

STATE AUDIT OFFICE OF GEORGIA
202051956

მიმწოდებლის მხრიდან:

ტარიელ გინდია _____

დირექტორი

T & S
2008

2015 წლის 26.02 N 18 ხელშეკრულების

დანართი N1

N	დასახელება	რაოდენობა	ერთ.	ერთეულის ღირებულება (ლარი)	მთლიანი ღირებულება (ლარი)
1	სიფონი 1-ნი 80 სმ 909968	5	ც	4.00	20.00
2	უნიტაზის ჩამრეცხი მექანიზმი 910430	5	ც	15.00	75.00
3	905418 უნიტაზის სიფონი	5	ც	10.00	50.00
4	30 სმ 1/2* 1/2 წყლის მილი 909952	10	ც	2.50	25.00
5	45 სმ 1/2* 1/2 წყლის მილი 909953	10	ც	3.00	30.00
6	60 სმ 1/2* 1/2 წყლის მილი 909244	10	ც	3.50	35.00
7	90სმ წყლის მილი 909806	10	ც	4.00	40.00
8	906118 ფით PPR ქურო 20	2	ც	0.20	0.40
9	908688 25 მუხლი (თეთრი თურქული) ppr ფით	20	ც	0.30	6.00
10	32 *90 პლ. მილის ფიტინგი (მუხლი) (თეთრი) 910477	20	ც	0.70	14.00
11	908210 40*90 მუხლი	2	ც	1.00	2.00
12	908666 50 მუხლი (თეთრი თურქული) ფით ppr	20	ც	1.60	32.00
13	25*20 პლას. გადამყვანი 908748	10	ც	0.30	3.00
14	გადამყვანი 32*25 (თეთრი) FIRAT 910508	10	ც	0.50	5.00
15	907528 40/32 გადამყვანი	10	ც	0.60	6.00
16	907527 50/40 გადამყვანი	10	ც	1.00	10.00
17	სამკაპი 20მმ 910770	5	ც	0.35	1.75
18	902823 სამკაპი 25მმ-იანი გამაერთებელი	5	ც	0.35	1.75
19	902824 ფიტინგი (სამკაპი დ32)	5	ც	0.50	2.50
20	902825 სამკაპი 40 PPR TEE	5	ც	0.90	4.50
21	906422 სამკაპი 50	5	ც	2.50	12.50

22	906601 ამერიკანკა შ/ხ 20-1/2	10	ც	4.00	40.00
23	905800 ამერიკანკა შ/ხ 25-3/4	10	ც	6.00	60.00
24	32 შ/ხ მმ ამერიკანკა 910393	10	ც	7.00	70.00
25	40-1 1/4 შ/ხ ამერიკანკა პრემიუმი 910780	10	ც	17.00	170.00
26	50-1 1/2 შ/ხ ამერიკანკა პრემიუმი 910779	10	ც	20.00	200.00
27	902731 ფიტინგი გად 20-20	10	ც	0.20	2.00
28	25 ქურო 908809	10	ც	0.30	3.00
29	32 პლ. მილის ფიტინგი (მუფ) (თეთრი) 910487	10	ც	0.50	5.00
30	901023 ქურო 40 p	10	ც	0.70	7.00
31	50 ქურო 909834	10	ც	1.50	15.00
32	საცობი 15 შ/ხ 911321	30	ც	0.50	15.00
33	901313 ქუდი 20	10	ც	0.20	2.00
34	901314 ქუდი 25	10	ც	0.25	2.50
35	901315 ქუდი 32	10	ც	0.30	3.00
36	40 საცობი 909012	10	ც	1.50	15.00
37	50 საცობი 909013	10	ც	2.00	20.00
38	904588 ქურო 20-1/2 შ/ხ მედიუმი	20	ც	1.50	30.00
39	25*3/4 შ/ხ პმ.მილის ფიტინგი (მუფ)(თეთრი) 910485	2	ც	2.00	4.00
40	901296 ქურო შ.ხ 32 p	20	ც	4.00	80.00
41	901267 ქურო შ.ხ 40 p	20	ც	10.00	200.00
42	905419 ქურო შ/ხ 50-1 1/2 მედიუმ	20	ც	12.00	240.00
43	906993 20-1/2 გ/ხ ქურო მედიუმი	20	ც	1.50	30.00
44	903443 ქურო 25-1/2 გ/რ ფიტ.	20	ც	2.00	40.00
45	904590 ქურო გ/ხ 32x1 მედიუმი	2	ც	4.00	8.00
46	40-11 გ/ხ ქურო მედიუმი 910775	20	ც	7.00	140.00

47	50-1 1/2 გ/ბ ქურო მედიუმი 910774	20	ც	10.00	200.00
48	20 ვენტილი ბურთულიანი 909672	10	ც	3,00	30.00
49	906374 პლასტმასის ფიტინგი (ონკანი R25)	10	ც	4.00	40.00
50	32მმ ონკანი PPRC 910241	5	ც	8.00	40.00
51	905420 ვენტილი ბურთულიანი 40	5	ც	8.00	40.00
52	50 ვენტილი ბურთულიანი 909850	5	ც	10.00	50.00
53	907836 ვენტილი 1/2	5	ც	6.00	30.00
54	3/4 ვინტილი 911210	5	ც	9.00	45.00
55	ვენტილი 1" მაკ 902685	1	ც	12.00	12.00
56	1 1/4 მაკ ვენტილი 911211	3	ც	24.00	72.00
57	1 1/2 მაკ ვენტილი 911212	3	ც	30.00	90.00
58	2 valve-b ვენტილი 911214	3	ც	35.00	105.00
59	ცხელი წყლის 20 მმ მინაბოჭკოვანი 911389	30	მ	1.40	42.00
60	ცხელი წყლის 25 მმ მინაბოჭკოვანი 911390	30	მ	2.00	60.00
61	ცხელი წყლის 32 მმ მინაბოჭკოვანი 911391	20	მ	3.50	70.00
62	ცხელი წყლის 40 მმ მინაბოჭკოვანი	20	მ	6.50	13.00
63	ცხელი წყლის 50 მმ მინაბოჭკოვანი 911392	30	მ	12.00	360.00
64	პაკი NPAK20 909249	10	ც	2.50	25.00
65	906755 ზუმფარა 125 მმ წეთელი ხის	20	ც	0.50	10.00

სულ ჯამი 3228,90

შემსყიდველის მხრიდან:

დავით კაპანაძე _____

საფინანსო და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი

ბ.ა.

მიმწოდებლის მხრიდან:

ტარიელ გინდია _____

დირექტორი

ბ.ა.